

კითხვებს აჩენს საკონსტიტუციო სასამართლოს უარი განეხილა საქმე ლგბტ პატიმრებისთვის ხანგრძლივ პაემანის უფლების მინიჭებაზე

ავტორი: გიორგი გოცირიძე

შესავალი

2018 წლის 11 მაისს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად საქმე ნოდარ გოგატიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.¹ ამ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა პატიმრობის კოდექსის მე-17² მუხლის მეორე პუნქტი, რომლითაც ხანგრძლივი პაემანის უფლება ჰქონდა პატიმარს შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან და ძმასთან. მოსარჩელე თავისი თავის იდენტიფიცირებას ახდენდა ჰომოსექსუალ მამაკაცად. ეს ნორმა მას უთანასწორო მდგომარეობაში აყენებდა ქორწინებაში მყოფ ჰეტეროსექსუალ პატიმართან და იმ ჰეტეროსექსუალ პატიმართან შედარებით, რომელსაც ჰყავდა შვილი. სადავო ნორმა აძლევს ჰეტეროსექსუალ პატიმარს იმის უფლებას ხანგრძლივი პაემანი ჰქონდეს მასთან დაქორწინებულ პირთან ან პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავდა.

მოსარჩელე აცხადებდა, რომ ასეთ პატიმართან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში იყო, ვინაიდან მას არ შეეძლო იმავე სქესის მქონე პირთან დაქორწინება, ასევე იმავე სქესის მქონე პირისაგან ბავშვის ყოლა. ამიტომ მოსარჩელის პოზიციით, ეს ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის უფლებას. მოსარჩელე ასევე დავობდა იმის თაობაზე, რომ სადავო ნორმა ზღუდავდა კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებულ პიროვნული განვითარების უფლებას.

ამ სტატიაში, საკონსტიტუციო სასამართლოს ადრე არსებული პრაქტიკის საფუძველზე, განხილულია საკითხი იმის თაობაზე, რამდენად დამაჯერებელია სასამართლოს არგუმენტები იმის თაობაზე, რომ შესაძარებელი პირები არ იყვნენ არსებითად თანასწორნი, ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარდა რამდენად არსებობდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში წესრიგის დაცვის შესაძლებლობა, რამდენად ქმნიდა გასაჩივრებული ნორმა სარჩელში მითითებულ პრობლემას და იყო თუ არა გასაჩივრებული ნორმა შემზღუდველი კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებულ უფლებასთან მიმართებაში.

¹ <http://constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/1-3-1284-saqartvelos-mogalage-nodar-gogatishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdag.page>

სადავო ნორმების მიმართება კონსტიტუციის მე-14 მუხლთან

საკონსტიტუციო სასამართლომ განჩინებაში განაცხადა, რომ გასაჩივრებულ ნორმას არ ჰქონდა მიმართება კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, ვინაიდან ჰომოსექსუალი პატიმარი არ იყო არსებითად თანასწორი იმ ჰეტეროსექსუალთან, რომელიც ხანგრძლივი პაემანით სარგებლობდა მასთან ქორწინებაში მყოფ პირთან ან იმ პატიმართან, რომელსაც ქორწინების გარეშე ჰყავდა ხანგრძლივ პაემანზე მყოფ პირთან შვილი. მეორე არგუმენტი იყო ის, რომ ხანგრძლივ პაემანზე შეზღუდვა არ უკავშირდებოდა პატიმრის სექსუალურ ორიენტაციას, ვინაიდან, სადავო ნორმა ცალკეულ შემთხვევაში ზღუდავდა ასევე ჰეტეროსექსუალ პატიმარსაც. განვიხილოთ თითოეული არგუმენტი ცალ-ცალკე.

საკონსტიტუციო სასამართლოს აცხადებს: „ამ ინსტიტუტის (ხანგრძლივი პაემანი) ბოროტად გამოყენებით, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნას წესრიგის დაცვას როგორც უშუალოდ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ისე მის მიღმა. მაგალითად, გამოყენებულ იქნეს ინფორმაციის მიმოცვლისთვის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს შორის, აკრძალული საგნების გადასატანად და მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განსახორციელებლად. დასახელებული და სხვა რისკები განსაკუთრებით მაღალია ხანგრძლივი პაემნის დროს, ვინაიდან იგი ხანმოკლე პაემნისგან განსხვავებით (რომელის ხანგრძლივობა არ აღემატება 2 საათს), შეიძლება გაგრძელდეს 47 საათამდე. ამდენად, ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მსჯავრდებულს მხოლოდ კანონით მკაფიოდ განსაზღვრულ პირთა წრესთან ენიჭება.“² შემდგომ პუნქტში სასამართლო ხსნის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში წესრიგის დაცვის მიზნის მისაღწევად რატომ არის აუცილებელი ხანგრძლივი პაემანის უფლება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ პირებს ჰქონდეთ „სადავო ნორმაში დასახელებულ პირთა წრიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ჩამონათვალში მოხვდნენ მსჯავრდებულთან იმგვარ სოციალურ კავშირში მყოფი პირები, რომლის სამართლებრივი დადასტურება შესაძლებელია.“³

ამგვარად, სასამართლოს პოზიცია არის იმგვარი, რომ ჰეტეროსექსუალ პატიმარს ქორწინების მოწმობის წარდგენით შეუძლია დაადასტუროს თავისი კავშირი ხანგრძლივ პაემანზე მყოფ პირთან, ხოლო დაბადების მოწმობით მტკიცდება საერთო შვილის ყოლის ფაქტი ხანგრძლივ პაემანზე მყოფ იმ პირთან, რომელთანაც ჰეტეროსექსუალი პატიმარი არ არის ქორწინებაში. ჰომოსექსუალი პატიმარი ვერ წარადგენს თავის მუდმივ სექსუალურ პარტნიორთან ამგვარი სოციალური კავშირის დამადასტურებელ მტკიცებულებას. როგორც სასამართლო განჩინების მეორე თავის მე-6 პუნქტშია აღნიშნული: „სადავო რეგულაცია მიემართება არა უშუალოდ მსჯავრდებულს, მის სექსუალურ ორიენტაციას ან პიროვნებასთან დაკავშირებულ რაიმე სხვა გარემოებას, არამედ პირის სოციალური კავშირის სამართლებრივად დადასტურების შესაძლებლობას.“

² საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №1/3/1284 საოქმო ჩანაწერის მეორე თავის მე-3 პუნქტი

³ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №1/3/1284 საოქმო ჩანაწერის მეორე თავის მე-4 პუნქტი

ამ კუთხით საინტერესოა სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკა, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ ე.წ. „სისხლის დონაციის“ საქმეში განაცხადა: „კონსტიტუციის მე-14 მუხლზე მსჯელობისას, პირთა არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები. ამასთან, თუ პირთა დიფერენცირებას საფუძვლად უდევს მათი განსხვავებული ფაქტობრივი ანდა სამართლებრივი მდგომარეობა, სახეზე არ იქნება კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით შესაფასებელი მოცემულობა.“⁴ ამავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს: „სისხლის დონორად ყოფნის სურვილი უკავშირდება ადამიანის პიროვნული ღირებულებების პრაქტიკულ რეალიზაციას, რისი ინტერესი და ფაქტობრივი შესაძლებლობა თანაბრად გააჩნიათ პირებს მათი სექსუალური ქცევებისა და ორიენტაციის მიუხედავად.“⁵

როგორც თავად სასამართლოც შენიშნავს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ხანგრძლივი პაემანი ემსახურება სოციალური კავშირის შენარჩუნებას და გამტკიცებას. როგორც ჰეტეროსექსუალ პატიმარს აქვს ინტერესი განამტკიცოს და შეინარჩუნოს მის მეუღლესთან ან იმ პირთან სოციალური კავშირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, ჰომოსექსუალ პატიმარსაც აქვს თავის პარტნიორთან ამგვარი კავშირის შენარჩუნების ინტერესი. ამიტომ ამ ინტერესის გამო, ჩვენი აზრით, სასამართლომ არასწორად არ მიიჩნია ეს ორი ჯგუფი არსებითად თანასწორად.

პირთა არსებითად თანასწორად მიჩნევისათვის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებას არ ცვლიდა ის, რომ ქორწინების ფაქტი დგინდება ქორწინების მოწმობით, ხოლო საერთო შვილის ყოლის ფაქტი შვილის დაბადების მოწმობით, ხოლო სტაბილურ ჰომოსექსუალურ ურთიერთობაში მყოფი პირების კავშირის დასადასტურებლად მსგავსი დოკუმენტის წარდგენა შეუძლებელია. სასამართლო ამგვარ დოკუმენტს მიიჩნევდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში წესრიგის დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებად.

მსგავსი ტიპის პრობლემას საკონსტიტუციო სასამართლო შეხვდა საქმეში ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. ამ საქმეში გასაჩივრებული იყო „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ კანონი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა იმ ნათესავთა წრეს, ვისგანაც პირს შეეძლო მიეღო სხეულის ორგანო. ისეთი პირები, რომლებიც რეციპიენტთან არ იყვნენ ნათესაურ კავშირში, მაგრამ მასთან ემოციურად იყვნენ დაკავშირებულნი, გამორიცხულნი იყვნენ დონორთა წრიდან. სწორედ იმიტომ რომ

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ მეორე თავის მე-17 პუნქტი

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ მეორე თავის მე-18 პუნქტი

დოკუმენტურად ამგვარი კავშირი არ მტკიცდებოდა. ამგვარი პირების გამორიცხვის ლეგიტიმურ მიზნად დასახელებული იყო ის, რომ ემოციური კავშირის მტკიცება იყო რთული და არსებობდა ორგანოებით ვაჭრობის საფრთხე, თუკი პირი სხეულის ორგანოს ნათესაური კავშირის არმქონე პირისაგან არ მიიღებდა.⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ღვიძლის დონაციისათვის არ არსებობდა ემოციურ, მაგრამ არა ნათესაურ კავშირში მყოფი პირისათვის დონორობის აკრძალვის აუცილებლობა, ვინაიდან კანონმდებლობა ითვალისწინებდა ადამიანის სხეულით ვაჭრობის საფრთხესთან ბრძოლის სხვა ქმედით მექანიზმებს.⁷ საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ ასეთ ქმედით მექანიზმად ასახელებდა ტრანსპლანტაციის საბჭოს, რომელსაც ეკისრებოდა ტრანსპლანტაციის პროცესის კონტროლის მართლზომიერების ვალდებულება.⁸

ნოდარ გოგატიშვილის საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს არ გამოუკვლევია ის გარემოება, ხომ არ არსებობდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში წესრიგის დაცვის სხვა საშუალება გარდა ხანგრძლივი პაემანის მონაწილე პირებს შორის ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენისა. აღსანიშნავია ის, გარემოება, რომ პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი აძლევს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს იმის უფლებას, რომ მოტივირებული უარი უთხრას პატიმარს, ხანგრძლივ პაემანზე. ცხადია, ამ ნორმის გამოყენებით სახელმწიფოს ჰქონდა უფლება, უარი ეთქვა ჰომოსექსუალი პატიმრისათვის, თუკი ეს უკანასკნელი ვერ ადასტურებდა ხანგრძლივი პაემანის მსურველთან სტაბილურ ურთიერთობას და იმავდროულად, არსებობდა აკრძალული საგნის საკანში მოხვედრის საფრთხე.

გოგატიშვილის საქმიდან კონსტიტუციის მე-14 მუხლის გამორიცხვის ერთ-ერთ არგუმენტს წარმოადგენდა ის, რომ ნორმა შეზღუდვას არ უკავშირებდა ჰომოსექსუალობას. სასამართლოს განმარტებით, „აღსანიშნავია, რომ ჰეტეროსექსუალი პირები, ჰომოსექსუალი პირების მსგავსად, ვერ შეძლებენ ხანგრძლივი პაემანის უფლებით ისარგებლონ ადამიანთან, ვისთანაც გააჩნიათ მტკიცე, თუმცა სამართლებრივად დაუდასტურებელი სოციალური კავშირი.“⁹ ის გარემოება, რომ გასაჩივრებული ნორმა არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა იმ ჰეტეროსექსუალსაც, რომელიც არც ქორწინებაში არ იყო, არც შვილი ჰყავდა, საერთოდ არ გამორიცხავს დიფერენცირებას ჰომოსექსუალსა და ქორწინებაში მყოფ პირს და იმ ჰეტეროსექსუალს შორის, რომელსაც შვილი ჰყავდა. ამ საქმეში ნოდარ გოგატიშვილი დავობდა თავისი სახელით და სასამართლოს წინაშე მიიტანა სადავო ნორმიდან გამომდინარე ის პრობლემა, რაც ექმნებოდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ ჰომოსექსუალ პატიმრებს. იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას აკრძალულია

⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბერის №3/9/682 საოქმო ჩანაწერის მეორე თავის მე-10 პუნქტი

⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბერის №3/9/682 საოქმო ჩანაწერის მეორე თავის მე-11 პუნქტი.

⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბერის №3/9/682 საოქმო ჩანაწერის მეორე თავის მე-12 პუნქტი

⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №1/3/1284 საოქმო ჩანაწერის მეორე თავის მე-6 პუნქტი

actio popularis, მოსარჩელე ვერ იდავებდა იმ ჰეტეროსექსუალი პატიმრის სახელით, რომელიც არ ქორწინებაში არ იმყოფებოდა, არც თავისი ხანგრძლივი პარტნიორისაგან შვილი ჰყავდა და ამის გამო არ იყო უზრუნველყოფილი თავის სექსუალურ პარტნიორთან ხანგრძლივი პაემანის შესაძლებლობით.

საკონსტიტუციო სასამართლო ნოდარ გოგატიშვილის საქმეში ასევე აღნიშნავს: „მოსარჩელე არ არის შეზღუდული, ცალკე იდავოს რომელიმე სოციალური კავშირის სამართლებრივი აღიარების თაობაზე, თუმცა ხსენებული საკითხი არ წარმოადგენს განსახილველი კონსტიტუციური სარჩელის დავის საგანს.“¹⁰ პრობლემა, რაზედაც მოსარჩელე უთითებს, გამომდინარეობს არა ქორწინების ინსტიტუტიდან, რაც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, არამედ სადავო ნორმაში აღნიშნული შეზღუდული ჩამონათვალის, რაც პატიმართა გარკვეულ კატეგორიას უსპობს ემოციური კავშირის მქონე პირებთან სოციალური ურთიერთობის შენარჩუნების შესაძლებლობას. ამასთან, თუკი დაქორწინებულ პირთან დიფერენცირების აღმოსაფხვრელად შესაძლოა სამოქალაქო კოდექსში ქორწინების დამდგენი ნორმა გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში, გაუგებარია, რა ნორმა უნდა გაასაჩივროს ჰომოსექსუალმა ან იმ ჰეტეროსექსუალმა, რომელსაც არც შვილი ჰყავს, არც ქორწინებაში იმყოფება, იმ ჰეტეროსექსუალთან არახელსაყრელი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად, რომელიც მართალია, არ იმყოფება ქორწინებაში, მაგრამ სარგებლობს პაემნით საკუთარი შვილის მეორე მშობელთან.

კონსტიტუციის მე-16 მუხლი

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არ მიიღო არსებითად განსახილველად სადავო ნორმა კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებაში. ამის მიზეზი იყო ის, რომ სასამართლოს შეფასებით, სადავო ნორმა იყო აღმჭურველი და არა შემზღუდველი ხასიათის: „პატიმრობის კოდექსის 17² მუხლი ჩამოთვლის პირთა წრეს, რომლებთანაც მსჯავრდებულს შეუძლია გამოიყენოს ხანგრძლივი პაემნის უფლება. აღნიშნული ნორმა, თავისი არსით, აღმჭურველი ხასიათისაა და იგი არ ადგენს აკრძალვებს ხანგრძლივი პაემნის გამოყენებასთან დაკავშირებით. სხვაგვარად, სადავო ნორმას არ გააჩნია მატერიალური უფლების შემზღუდავი სამართლებრივი ბუნება.“¹¹

განჩინებაში სასამართლოს არ მიუთითებია თუ არა გასაჩივრებული ნორმა, სხვა რომელ ნორმას გააჩნია კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული უფლების მზღუდავი ეფექტი. საკონსტიტუციო სასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად,¹² როდესაც სასამართლო განჩინებით ადგენს, რომ გასაჩივრებული ნორმას არ წარმოშობს იმ კონსტიტუციურ პრობლემას, რაც სარჩელშია მითითებული, იმის მიუხედავად, რომ სარჩელი არ მიიღება არსებითად განსახილველად, საკონსტიტუციო სასამართლო განჩინებაში

¹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №1/3/1284 საოქმო ჩანაწერის მეორე თავის მე-6 პუნქტი

¹¹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №1/3/1284 საოქმო ჩანაწერის მეორე თავის მე-10 პუნქტი

¹² მაგალითად. საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის 2/7/812 განჩინების მეორე თავის მე-3 პუნქტი საქმეზე თამაზ ბაკურაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მიუთითებს იმ ნორმაზე, რომელიც ამგვარ კონსტიტუციურ პრობლემას წარმოშობს. ამგვარი მიდგომა მოსარჩელეს შესაძლებლობას აძლევს, მომავალში ის ნორმა გაასაჩივროს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელსაც გააჩნია მიმართება კონსტიტუციის ამა თუ იმ დებულებასთან. სამწუხაროდ, ნოდარ გოგატიშვილის საქმეზე მიღებულ განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლოს არ მიუთითებია პატიმრობის კოდექსის რომელ ნორმას გააჩნია კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული უფლების მზღლუდავი ხასიათი.

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ საქმეში უმსჯელია და არაკონსტიტუციურად უცვნია ნორმები, რომელიც ჩამოთვლის პირთა წრეს, ანიჭებს მათ გარკვეულ უფლებებს. საკონსტიტუციო სასამართლო ასეთ ნორმებს შემზღუდვლად მიიჩნევდა იმის გამო, რომ კონკრეტული უფლება არ ვრცელდებოდა მოსარჩელეზე, რომელიც ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული.

მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინება ეხებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების კონსტიტუციურობას, რომელიც სააპელაციო და საკასაციო საჩივრის წარდგენის უფლებას ანიჭებდა: სახელმწიფო ბრალმძებელს, ზემდგომი პროკურორს, დაზარალებულს, მსჯავრდებულს, დამცველს, მსჯავრდებულისა და დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენლებს. კონსტიტუციური წარდგინების ავტორის მტკიცებით, დასახელებული ნორმები გამორიცხავს გამართლებული პირის მიერ საკასაციო და სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებას.¹³ ეს ნორმა იმის მიუხედავად, რომ აღმჭურველი ხასიათის იყო მსჯავრდებულისა და დაზარალებულისათვის, სწორედ იმიტომ რომ არ ახსენებდა გამართლებულს და ამით ზღუდავდა გამართლებულის გასაჩივრების უფლებას, არსებითად განსახილველად იქნა მიღებული და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.¹⁴

ამის მსგავსად, ნოდარ გოგატიშვილის საქმეშიც გასაჩივრებული ნორმა აღმჭურველი შინაარსის იყო ქორწინებაში მყოფი და იმ ჰეტეროსექსუალისათვის, რომელსაც ქორწინების გარეშე ჰყავდა შვილი. ნორმა შემზღუდველი შინაარსის არის, მათ შორის ჰომოსექსუალისათვის, რომელიც არ არის მოხსენიებული კანონით დადგენილ ჩამონათვალში. ამას გარდა აღსანიშნავია ნუგზარ ჯაყელის საქმე, რომელშიც დადგინდა კონსტიტუციის მე-16 მუხლის დარღვევა. ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის ის, ნორმა რომელიც ადამიანს საკუთარი გვარის მხოლოდ მეუღლის გვართან მიერთების შესაძლებლობას აძლევდა და გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ ინდივიდს თავის გვართან ბების ან სხვა აღმავალი ხაზის ნათესავის გვარი მიერთებინა.¹⁵ ეს ნორმა აღმჭურველი იყო იმ სუბიექტისათვის, ვისაც სურდა თავისი გვარი მეუღლის გვარისათვის მიერთებინა, მაგრამ შემზღუდველი იყო იმ პირისათვის, ვისაც სურდა საკუთარი გვარის აღმავალი ხაზის ნათესავის გვარის საკუთარ გვართან მიერთება. მსგავს შემთხვევასთან

¹³ საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბერის №3/3/601 გადაწყვეტილების მეორე თავის მე-14 პუნქტი

¹⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 25 ივლისის №2/8/570 საოქმო ჩანაწერის მეორე თავის მე-4 პუნქტი

გვქონდა საქმე ნოდარ გოგატიშვილის საქმეში, როდესაც კანონმა მხოლოდ პირთა განსაზღვრულ კატეგორიას მიანიჭა ხანგრძლივი პაემნის უფლება და ამ პირთა წრიდან გამორიცხა მოსარჩელეთა კლასი, რაც წარმოადგენდა ადამიანის პიროვნული განვითარების უფლებაში ჩარევას.

დასკვნა

ამგვარად, ნოდარ გოგატიშვილის საქმეზე შესაძლებელი იყო ჰომოსექსუალი პატიმარი მიჩნეული ყოფილიყო ქორწინებაში მყოფ ან ისეთ ჰეტეროსექსუალ პატიმართან არსებითად თანასწორად, რომელსაც ქორწინების მიღმა ჰყავდა შვილი. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაძლოა მომხდარიყო სხვა მტკიცებულებების გამოკვლევით და არა მხოლოდ ხანგრძლივი პაემანის მონაწილეთა შორის ნათესაობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის გზით. ასევე შეკითხვას იწვევს ის, თუ სოციალური კავშირის დამდგენი რომელი ნორმა შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში ჰომოსექსუალი პატიმრებისათვის არახელსაყრელი დიფერენცირების აღმოსაფხვრელად იმ პირთან მიმართებაში, რომელიც არ იმყოფება ქორწინებაში და ამის მიუხედავად, ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობს თავისი შვილის მეორე მშობელთან მე-16 მუხლთან მიმართების ნაწილში გასაჩივრებული ნორმის შემზღუდვლად მიჩნევა არ მოდის შესაბამისობაში ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან.